



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

02 10 2018 წ.

ბრძანება 2-287

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 47-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-თ დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ნ ა ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:

/ელზა ბადაშვილი/

